სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება # 5

ქ. სენაკი 01.03.2019წ.

ერთის მხრივ შ.პ.ს. სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება (ქ. სენაკი რუსთაველის ქ.#114, ს/კ 239866551, სს ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ა/ნ GE90LB0113192691591000) წარმოდგენილი მისი დირექტორის მურმან ბოჯგუას სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი'') და მეორეს მხრივ შპს რაპაკა (ქ. ქუთაისი, წერეთლისა და ჯიბლაძის ქ.#35/2 ს/კ 412704505, პროკრედიტ ბანკი, ბანკის კოდი MIBGGE22, ა/ნ GE54PC050013600100045900) წარმოდგენილი მისი დირექტორის კახაბერ გვეტაძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

,,მიმწოდებელმა'' აიღოს ვალდებულება დაუმზადოს ,,შემსყიდველს'' დაწესებულების ბეჭდის და შტამპის რეზინა და ტრაფარეტი.

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' (შემდგომ - ,,ხელშეკრულება'') შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება'' ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია'' (შემდგომ ,,შემსყიდველი'') ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 ,,მიმწოდებელი'' ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც გააფორმა შემსყიდველთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.5 ,,დღე'', ,,კვირა'', ,,თვე'' ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების ობიექტი.

2019 წლის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში (CPV 30100000) დაწესებულების ბეჭდის და შტამპის რეზინის და ტრაფარეტის დამზადების შესყიდვა თანხით 95 ლარი.

1. ტექსტური შტამპი და ბეჭედი (CPV 30192153) - 50ლ.
2. ტრაფარეტი(CPV 30194700) – 45ლ.

3.საქონლის ხარისხი

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი მომსახურება უნდა იყოს ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის(ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის(ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

4.4 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი.

5.მომსახურების მიწოდების პირობები.

5.1 მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 05 მარტის ჩათვლით.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღბა-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე მუხლის 4.5 პუნქტში მითითებული პირები).

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასხადო დოკუმენტაცია.

7.ანგარიშსწორება

7.1 მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15(თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი ეთქვას ანგარიშსწორებაზე.

7.4 ანგარიშსწორების ადგილია ქ. სენაკი.

8.ფასები

8.1მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წეილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულებების დანამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა-ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო თუ კი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ს.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააწარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შუსრულებლობის გამო.

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი.

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარცენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

გ) თუ მისტვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის (მონტაჟის) ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,, ფორს-მაჟორი ’’ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასათან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დაგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა.

17. ხელშეკრულება დაწერილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისარებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18. შეტყობინება

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებით მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი სქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

19.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

20.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2019 წლის 5 აპრილის ჩათვლით.

21. სხვა პირობები

21.1 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

21.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მიმწოდებელი:	**შემსყიდველი:**
შპს რაპაკა	**შპს სენაკის ა/პ გაერთიანების**
დირექტორი: კახაბერი გვეტაძე	**დირექტორი: მურმანი ბოჯგუა**

LTD AMBULATORY POLYCLINIC UNION

Digitally signed by LTD AMBULATORY POLYCLINIC UNION
Date: 2019.03.01 12:28:14 +04'00'